ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საბოლოო ანგარიში
2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ
14 ნოემბერი, 2016

შეჯამება

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ხასიათდებოდა ღია პოლიტიკური გარემოთი; კონკურენტული საარჩევნო კამპანიით; შედეგებით, რომელიც სანდო დამკვირვებლების მონაცემებს დაემთხვა; და რამდენიმე ძირითადი პრობლემით, რომელზეც ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

საქართველოს მოქალაქეებს თავისუფლად შეეძლოთ, დაეფუძნებინათ და გაერთიანებულიყვნენ პოლიტიკურ პარტიებში. პარტიებსა და კანდიდატებს ჰქონდათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ კენჭისყრაში დაუსაბუთებელი შეზღუდვებისა და დისკრიმინაციის გარეშე. მათ აგრეთვე შეეძლოთ, ეწარმოებინათ კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით და თავისუფლად მიეტანათ მესიჯები საზოგადოებამდე, რასაც საქართველოში არსებული საკმაოდ აქტიური და პლურალისტური მედია გარემო უწყობდა ხელს. მოქალაქეებმა ხმა თავისუფალ გარემოში მისცეს. ყოველივე ზემოჩამოთვლილი მისასალმებელია.

თუმცა არჩევნების დროს რამდენიმე ძირეული პრობლემაც გამოიკვეთა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: საარჩევნო პროცესის განმავლობაში მიმდინარე ძალადობისა და დაშინების შემთხვევები; საუბნო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი წევრის კვალიფიკაციის, ნეიტრალურობისა და კომპეტენციის საკითხი; და საჩივრების განხილვის მექანიზმების მიუკერძოებლობისა და თანმიმდევრობის მიმართ არსებული კითხვები. დამატებით, არჩევნებმა საარჩევნო კანონმდებლობასთან, პარტიების საარჩევნო კამპანიის სტრატეგიებთან, საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებთან, კამპანიის დაფინანსებასა და ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენებასთან და ქალებისა და უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლობის ნაკლებობასთან დაკავშირებული ხარვეზები გამოავლინა. ამ საკითხების მოგვარებისკენ გადადგმული ერთობლივი მცდელობები უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების სრულ ნდობას მომავალი არჩევნებისადმი. ახალი პარლამენტისა და მთავრობისთვის ისევე, როგორც

პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, პრიორიტეტი საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაღრმავება უნდა იყოს.
როგორც ყველა დემოკრატიული არჩევნების შემდგომ, ახალი პარლამენტისთვის და ახალი მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია, გადაწყვეტილების მიღებისას მოსაზრებების ფართო სპექტრი გაითვალისწინოს და ყველა მოქალაქის ინტერესი წარმოადგინოს, მათ შორის მათი, ვინც უმრავლესობას ხმა არ მისცა. საპარლამენტო და არა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ხმებს ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს და მათი უფლებები უნდა დაიცვას.

ზოგადი ინფორმაცია

არჩევნების პირველი ტურისთვის პროცესის სანდოობისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტები უმეტესწილად არსებობდა. პლურალიზმი პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ფუნდამენტური თავისუფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, დიდწილად დაცულია. მედია გარემო რეგიონში ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანია, თუმცა პოლიტიზირებული და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მედია საშუალება სამართლებრივი მუქარის ქვეშაა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნები ჩვეულ ნორმას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების (გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა), დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო გარემო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გაუმჯობესებულია. თავის მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარემო გაუარესდა და მაგალითად მოჰყავთ მათი წარმომადგენლების დაპატიმრება, ძალადობისა და სროლების შემთხვევების დაუსჯელობა და არათანაბარი პირობები. ეს ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, ნაწილობრივ, ორ მთავარ პარტიას შორის არსებული განსხვავებული პერსპექტივისა და გამოცდილების მაჩვენებელია. წინასაარჩევნო გარემოზე ამ ორ პარტიას შორის მიმდინარე დაპირისპირება დომინირებდა.

NDI-ის კვლევების თანახმად, მოსახლეობა უკმაყოფილოა ამგვარი პოლიტიზირებული პოლიტიკური გარემოთი, რის გამოც ყურადღება ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი საკითხებიდან ნაკლებად საინტერესო თემებზე გადადის. მოსახლეობის ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, რომელსაც არსებულ ცვალებად გარემოში კონკრეტული შედეგების მიღწევა უჭირს, მყიფეა. საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა არ ეთანხმება, რომ პოლიტიკური პარტიები მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებენ. ისინი თვლიან, რომ უგულვებელყოფილნი არიან არჩეული თანამდებობის პირების მხრიდან,

განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე. ბევრ ამომრჩეველს არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ვის მისცემდა ხმას და მათ წინაშე არსებული პოლიტიკური არჩევანის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავდა, რაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩევლების ისტორიულად დაბალ აქტივობაში აისახა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიცავდა 8 ოქტომბერს ჩატარებულ პირველ ტურს, 22 ოქტომბერს გამართულ განმეორებით არჩევნებს იმ ოთხ მაჟორიტარულ ოლქში, სადაც კენჭისყრის შედეგები გაბათილდა, და 30 ოქტომბრის მეორე ტურს 50 ოლქში, სადაც პირველ ეტაპზე ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა 50%-ზე მეტი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) წინასწარი შედეგების მიხედვით, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში 115 მანდატი მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 27, „პატრიოტთა ალიანსმა“ – 6, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატმა და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კანდიდატმა თითო-თითო მანდატი მოიპოვეს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებების პატივისცემის გათვალისწინებით, წარმოადგენს აღნიშნულ საბოლოო ანგარიშს. წინამდებარე ანგარიში არის იმ სადამკვირვებლო საქმიანობის შემაჯამებელი პროდუქტი, რომელიც მოიცავდა წინასაარჩევნო დელეგაციას (განცხადება გამოქვეყნდა 17 ივნისს), 23 წევრისგან შემდგარ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას (განცხადება გამოქვეყნდა 9 ოქტომბერს) და გრძელვადიანი ანალიტიკოსების გუნდს, რომლებიც აკვირდებოდნენ პროცესს აგვისტოდან ნოემბრის დასაწყისის ჩათვლით და თავიანთი მიგნებებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანგარიშის მომზადებაში. 21 ოქტომბერს ინსტიტუტმა ასევე გამოაქვეყნა მოკლე რეკომენდაციები არჩევნების მეორე ტურის წინ. ეს ანგარიში ასევე ეფუძნება მიუკერძოებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფების მიგნებებს. ეს ჯგუფებია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (სამართლიანი არჩევნები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო. ამ ორგანიზაციებთან NDI მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში თანამშრომლობდა.

დაკვირვებები და რეკომენდაციები

2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ღია პოლიტიკურ გარემოში ჩატარდა, სადაც პარტიებს თავისუფლად შეეძლოთ, საკუთარი გზავნილები ამომრჩევლებამდე მიეტანათ და ამომრჩევლებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ. კამპანია კონკურენტული იყო. სამართლიანი არჩევნების თანახმად, უმეტეს საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცესი კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა. სამართლიანმა არჩევნებმა ხმების პარალელური დათვლა ჩაატარა - ეს არის სტატისტიკაზე დაფუძნებული მეთოდი, რომელიც

საარჩევნო დღის პროცესის შეფასებასა და ოფიციალური შედეგების გადამოწმებაში გვეხმარება. ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა ხმების პარალელური დათვლის შედეგები პროპორციული არჩევნების ოფიციალურ შედეგებს დაემთხვა.

თუმცა, იყო რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებისა, რომელსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა ამომრჩეველთა ნებაზე უშუალოდ ბიულეტენში სასურველი ნომრის შემოხაზვამდე. მართალია, ამ პრობლემებს არჩევნების ლეგიტიმურობაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა პროცესის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა.

საქართველოში 2017 წელს იმართება ადგილობრივი, 2018 წელს კი - საპრეზიდენტო არჩევნები. ამის გათვალისწინებით, ამ ანგარიშის მიზანი არ არის საარჩევნო პროცესების სრულყოფილი შეჯამება, არამედ იმ რიგ რეკომენდაციებზე ყურადღების გამახვილება, რომლის შესრულებამაც შეიძლება, მომავალი არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას შეუწყოს ხელი.

ძალადობა და დაშინება

რეკომენდაციები:

- მომავალი არჩევნებისთვის შემაკავებელი ეფექტის უზრუნველსაყოფად კანონის დამრღვევი პირები უნდა დაისაჯონ და გასამართლდნენ პროპორციულად, თანმიმდევრულად და მოკლე ვადებში.
- ცესკომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაამლიერონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ტრენინგი საარჩევნო უსაფრთხოების შესახებ. პოლიცია უნდა იყოს მზად, რომ დროულად მივიდეს ძალადობის მაღალი რისკის მქონე ადგილებში და სიტუაციების დროს, რათა მომავალი არჩევნების დროს დაძაბულობა შეამციროს.
- არჩევნების დღეს პოლიციის მხრიდან ნელი ან არაადეკვატური რეაგირების შესახებ საჩივრები უნდა იყოს გაანალიზებული მომავალში მათი მხრიდან რეაგირების გაუმჯობესების მიზნით.
- უნდა მოხდეს ისეთი ზომების მიღება, რომელიც, ერთის მხრივ, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანების შეკრების თავისუფლებას დაიცავს და, მეორეს მხრივ, დაშინებისა და პროცესისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობებს მინიმუმამდე დაიყვანს.
- პარტიებმა უნდა შეიმუშაონ შიდა ანგარიშვალდებულების მექანიზმები და სანქციები იმ წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ძალადობისა და დაშინების შემთხვევებში.
- პარტიებმა სამომავლოდ კანდიდატებისა და აქტივისტებისთვის მრავალპარტიული ქცევის კოდექსები უნდა შეიმუშაონ.
- სანდო დამოუკიდებელი დამკვირვებლების უფლებები, ღიად დააფიქსირონ თავიანთი მიგნებები, დაცული უნდა იყოს.

ამ არჩევნებზე ძალადობა არ იყო ფართომასშტაბიანი, თუმცა რამდენიმე სერიოზული ინციდენტი გამოვლინდა, მათ შორის: 4 ოქტომბერს, თბილისის ცენტრში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტის წევრის მანქანის აფეთქება; 2 ოქტომბერს მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის ღონისძიებაზე სროლა, რომლის დროსაც კანდიდატის გუნდის ორი წევრი დაშავდა; 1 ოქტომბერს სოფელ დიდინეძში მომხდარი დაპირისპირება, სადაც ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები დაშავდნენ. წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის (უწყებათაშორისი კომისია)[1] ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ცემის 26 შემთხვევას პროკურატურა იძიებს. 8 ოქტომბერს, ზუგდიდის ორ და მარნეულის ერთ უბანზე დათვლის პროცესი შეფერხდა ან შეწყდა გარეთ მყოფი აქტივისტების გამო, რომლებიც საარჩევნო უბნებზე შეიჭრნენ, დააზიანეს საარჩევნო ყუთები და კერძო საკუთრება და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საერთაშორისო დამკვირვებლებს. ზოგ საარჩევნო უბანზე შეტაკებების მიზეზი კი ნაწილობრივ ეგზიტპოლების ურთიერთგამომრიცხავი შედეგების გამოქვეყნება გახდა. სამართლიანი არჩევნების ინფორმაციით, 9-27 ოქტომბრის პერიოდში ფიზიკური ძალადობის ორი შემთხვევა გამოვლინდა.[2] მეორე ტურის დღეს (30 ოქტომბერი) გორში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, შედეგად ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი სერიოზულად დაშავდა. გავრცელებული ინფომრაციით, მარნეულში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ნაციონალური მოძრაობის დამკვირვებელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სამართლიანმა არჩევნებმა ისაუბრა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურად მოტივირებული დაშინების 28 ფაქტზე და ასევე 8 ინციდენტზე, რომელიც პირველსა და მეორე ტურს შორის მოხდა.[3] დამატებით, პოლიტიკოსებზე, მედიის წარმომადგენლებსა და სხვა საჯარო ფიგურებზე უკანონოდ მოპოვებულმა

---

[1] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია არის საარჩევნო კოდექსით შექმნილი მექანიზმი საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო ძალადობის თავიდან აცილებისა და მასზე რეაგირებისთვის. უწყებათაშორისი კომისია განიხილავს საჩივრებს სხვა საარჩევნო დარღვევებზე, როგორიცაა ძალადობა და დაშინება.

[2] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, "2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შუალედური ანგარიში" 28 ოქტომბერი, 2016.

[3] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, "გახშირებული საარჩევნო დარღვევები ISFED-ის მეოთხე შუალედურ ანგარიშში" 3 ოქტომბერი, 2016; "ზეწოლა-მუქარის და წინასაარჩევნო კამპანიის ხელის შეშლის ფაქტები ISFED-ის მესამე ანგარიშში" 9 სექტემბერი, 2016; "ამომრჩეველთა მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები ISFED-ის II ანგარიშში" 23 აგვისტო, 2016; და "ზეწოლა-მუქარის, ძალადობის და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები ISFED-ის I შუალედურ ანგარიშში " 25 ივლისი, 2016.

ჩანაწერებმა კანდიდატებისთვის მტრული წინასაარჩევნო გარემო შექმნა.[4] ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი აქტივისტებისა და მხარდამჭერების დაშინების 50-ზე მეტი შემთხვევა დააფიქსირა. სადამკვირვებლო ჯგუფების, მათ შორის საია-ს ინფორმაციით, საჯარო მოხელეებმა ქართული ოცნების სასარგებლოდ ხმის მიცემის სპეციალური ფორმით დაფიქსირების ინსტრუქცია მიიღეს, სავარაუდოდ იმისთვის, რომ ამომრჩევლების აღწერა მომხდარიყო. ქართული ოცნება ამ ბრლადებას უარყოფს. NDI-ის წარმომადგენლების, ასევე საერთაშორისო გამჭირვალობისა და საიას დამკვირვებლების ინფორმაციით და დაკვირვებით, კონკურენტულ ოლქებში ბევრი საარჩევნო უბნის წინ პარტიის კოორდინატორებისა და სხვა პირების კონცენტრაცია შეინიშნებოდა, რაც ზოგიერთი ამომრჩევლისთვის დამაშინებელ გარემოს ქმნიდა[5]. საერთაშორისო გამჭვირვალობის ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა ზეწოლის ფართომასშტაბიან, თუმცა დაუდასტურებელ შემთხვევებს, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ამომრჩევლებზე, აქტივისტებსა, და ზოგი პოლიტიკური პარტიის კანდიდატებსა და მხარდამჭერებზე ახორციელებდნენ[6]. ამასთან ერთად, წინასაარჩევო პერიოდის განმავლობაში, დამკვირვებლებმა მოისმინეს უამრავი საჩივარი ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერისთვის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სოციალური დახმარების ჩამორთმევის მუქარის შესახებ. თუმცა ამ შემთხვევების დასაბუთება რთულია.

რამდენიმე დამოუკიდებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თავიანთი მიგნებების გამო მათ მიმართ ზოგიერთი პარტიისა და მედია საშუალებების მხრიდან მათი მისამართით მტრული და დამაშინებელი განცხადებები გაჟღერდა, მათ შორის მუქარა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის შეწყვეტის თაობაზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია

რეკომენდაციები:

- ცესკომ და შესაბამისმა უწყებებმა ყველა ლეგიტიმურ კრიტიკას უნდა უპასუხონ, აწარმოონ დიალოგი ყველა მომჩივანთან და უზრუნველყონ მათი საქმიანობის გამჭვირვალობა პროცესის მიმართ ნდობის ასამაღლებლად.
- შეცდომების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, პარლამენტმა და ცესკომ უნდა მოახდინონ ხმის დათვლის, შემაჯამებელი ოქმების შევსების და სხვა პროცედურების გამარტივება, და, ამავდროულად, შეინარჩუნონ ამ პროცესის გამჭვირვალობა და გადამოწმების საშუალება.

---

[4] ეს შენ გეხება' მორიგი ფარული აუდიოჩანაწერის გავრცელების შესახებ

[5] საია "2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება" 9 ოქტომბერი, 2016

[6] საერთაშორისო გამჭვირვალობა, "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში", 30 სექტემბერი, 2016

- ცესკომ უფრო ნათლად უნდა განმარტოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების პროფესიული კვალიფიკაცია და შერჩევის პროცედურები, მათ შორის მიუკერძოებულობის სტანდარტები, და პრიორიტეტი მიანიჭოს გამოცდილების მქონე კანდიდატებს.
- ცესკომ არჩევნების შედეგები დამუშავებად ფორმატში უნდა გამოაქვეყნოს, რაც ხელს შეუწყობს ამ შედეგების ხელმისაწვდომობასა და ანალიზს.
- პარლამენტმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, უნდა აღმოფხვრას საარჩევნო კანონმდებლობის ხარვეზები, რომელიც კანდიდატების რეგისტრაციას, კამპანიის წარმოებას, მათ შორის სოციალური მედიის გამოყენება, და შემაჯამებელი ოქმებში არსებულ უზუსტობებს შეეხება.

NDI-ისა და სხვა სადამკვირვებლო ჯგუფების შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც ცესკოს, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე, პროცესს პროფესიონალურად წარმართავდა. ცესკომ აქტიურად იმუშავა ამომრჩევლებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით. საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე კომისიის წევრების უმრავლესობამ არჩევნების ციკლის განმავლობაში გულმოდგინედ იმუშავა. პირველი ტურის შემდეგ ცესკომ პარტიებისა და დამკვირვებლების მიერ წამოჭრილ საკითხებს კონსტრუქციულად უპასუხა. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის დამატებითი ტრენინგები ჩატარდა. მეორე ტურის დროს ცესკომ შემაჯამებელი ოქმები მათი მიღებისთანავე გამოაქვეყნა, როგორც ამას კანონი მოითხოვს. ეს სადამკვირვებლო ჯგუფების მხრიდან გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ მოხდა, როდესაც პირველ ტურში ცესკომ ოქმები დაგვიანებით ატვირთა. ეს გაუმჯობესება მისასალმებელია.

თუმცა დამკვირვებლებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან კითხვები გაჩნდა ზოგიერთი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიუკერძოებულობასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. კანონის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიები პარტიის მიერ დანიშნული “პარტიული” 7 წევრისგან და მიუკერძოებელი “პროფესიული ნიშნით” არჩეული 6 წევრისგან შედგება. დამკვირვებლებმა წამოჭრეს კითხვები საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ “პროფესიული ნიშნით” არჩეული საუბნო კომისიების წევრების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, და აღნიშნეს, რომ ზოგიერთ უბანზე შერჩევა წინასწარ შედგენილი სიების და არა კონკურსის საფუძველზე მოხდა. ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი პროფესიული წევრის წარსული საქმიანობის შესწავლამ გამოავლინა, რომ ახლო წარსულში ისინი პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ.[7]

[7] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, “2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის III შუალედური ანგარიში ” 1 სექტემბერი, 2016 და “ISFED საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობას ეხმიანება,” 21 აგვისტო, 2016.

არჩევნების სამივე დღეს - 8, 22 და 30 ოქტომბერს - NDI-ისა და სხვა ორგანიზაციების დამკვირვებლებმა საუბნო საარჩევნო კომისიაში ბევრი პროცედურული პრობლემა დააფიქსირეს, განსაკუთრებით დათვლისა და შემაჯამებელი ოქმების შევსების დროს. ეს მოიცავდა შემაჯამებელ ოქმებში არსებულ უზუსტობებსაც (მაგალითად, უფრო მეტი ბიულეტენი, ვიდრე ხელმოწერა ან პირიქით). 8 ოქტომბრის შემდგომ წამოჭრილი საჩივრების პასუხად ცესკომ საუბნო კომისიების ხელმძღვანელებს დამატებითი ტრენინგები ჩაუტარა. ცესკომ ასევე 201 წარმომადგენელი დანიშნა, რათა ისინი საუბნო საარჩევნო კომისიებს მეორე ტურის დროს დახმარებოდნენ. თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიის ბევრი წევრი საკუთარი მოვალეობების სრულად შესრულებისთვის მზად არ აღმოჩნდა. პროცედურული პრობლემების გარდა სხვა დარღვევებსაც ჰქონდა ადგილი, მათ შორის: მარკირებაგავლილი პირების მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა,[8] ამომრჩევლის მოსყიდვა,[9] ბიულეტენთან ერთად სარეგისტრაციო ბარათის კონვერტში მოთავსება,[10] საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის სავარაუდო შემთხვევები და სხვა დარღვევები. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები სისტემური ხასიათის არ იყო, მათმა არსებობამ პროცესისა და შედეგების სანდოობის კრიტიკის საფუძველი შექმნა.

ხმების ხელახლა გადათვლისა და შედეგებისა და შემაჯამებელი ოქმების გაუქმების, დისციპლინარული ზომების გატარებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციაში 1000-ზე მეტი საჩივარი შევიდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ 10 უბნის არჩევნების შედეგები გააუქმა და 4 უბანზე განმეორებითი კენჭისყრა დანიშნა. თუმცა ბევრი საჩივარი, რომელიც შემაჯამებელ ოქმებში არაზუსტი ციფრებისა და გაუქმებული ბიულეტენების მაღალი რიცხვის გამო ხმების ხელახლა გადათვლასა და გაუქმებას შეეხებოდა, არ დაკმაყოფილდა. საარჩევნო ადმინისტრაციის მტკიცებით, ეს ინციდენტები არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა. ზოგიერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ კანონის ფართო ინტერპრეტაცია და მსგავსი საჩივრების ღრმად შესწავლა შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობას განამტკიცებდა და სამომავლოდ პროცესის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან მონაცემებს მიაწვდიდა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ არჩევნებზე საპარლამენტო მანდატების ბედი საკმაოდ მცირე რაოდენობის ხმებმა გადაწყვიტა, პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად განსაკუთრებული ყურადღება, გამჭვირვალობა და თანამიმდევრულობა იყო საჭირო.

---

[8] საიამ დააფიქსირა მარკირებაგავლილი ამომრჩევლების მიერ არჩევნებში მონაწილეობის მცდელობის 75 ფაქტი; აქედან 5 წარმატებული და 70-მდე წარუმატებელი მცდელობა.

[9] სამართლიანი არჩევნები, http://www.isfed.ge/main/1165/geo/ , http://www.isfed.ge/main/1151/geo/, http://www.isfed.ge/main/1147/geo/ , http://www.isfed.ge/main/1131/geo/, http://www.isfed.ge/main/1118/geo/, http://www.isfed.ge/main/1100/geo/

[10] საია, "საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღის შეფასება" 31 ოქტომბერი, 2016.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და დარღვევებზე რეაგირება

რეკომენდაციები:

- საარჩევნო საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სასამართლომ დროულად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უნდა იმოქმედოს და, საჭიროების შემთხვევაში, საჩივრების დაკმაყოფილების ეფექტური მექანიზმები გამოიყენოს.
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ (უწყებათაშორისი კომისია) მკაფიოდ უნდა განსაზღვროს და საჯარო გახადოს თავისი მანდატი და პროცედურები; შექმნას დარღვევებსა და ძალადობის ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმი; და შეიმუშავოს გამოძიების გამჭვირვალედ ჩატარების მეთოდი.
- პარტიებმა და კანდიდატებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან 8 ოქტომბრის არჩევნების ჩატარებით, საკუთარ საჩივრებს შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა დაურთონ და შესაბამის ორგანოებს უნდა მიმართონ იმისთვის, რომ მშვიდობიანად მოითხოვონ საკუთარი საჩივრების დაკმაყოფილება.

არჩევნების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების მუშაობასა და საარჩევნო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რიგი გაუმჯობესება აღინიშნა, თუმცა კვლავ არსებობს კითხვები საქმის განხილვის მექანიზმების თანამიმდევრულობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები და მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, თავი შეეკავებინათ ოპონენტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გამოჩენისა ან მათი კამპანიის მასალების ხელყოფისაგან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) რამდენიმე ბრძანება გამოსცა, რომელმაც პოლიციის სხვადასხვა ძალები ყველა რეგიონში ტერიტორიულ ჯგუფებად გააერთიანა, რამაც ხელი შეუწყო უკეთეს კოორდინაციას; ძალადობის პოტენციური რისკების შეფასებას და მონიტორინგს; და განსაზღვრა პოლიციის ჩარევის აუცილებლობის საფუძვლები კენჭისყრის დასრულებიდან ხმების დათვლის პროცესის დასრულებამდე.[11] 20 სექტემბერს შსს-მ და ცესკომ ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომელიც ეხებოდა კენჭისყრისთვის უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფას. საქართველოს ისტორიაში პირველად შსს-მ და ცესკომ სამართალდამცავებისთვის ასევე ჩაატარეს ტრენინგი საარჩევნო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეს კონსტრუქციული ინიციატივები იყო.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ოპოზიციური პარტიები და დამკვირვებლები საუბრობდნენ ხშირად გაჭიანურებული გამოძიების, საქმეების შერჩევითი გამოძიების, წინასწარი პატიმრობის არათანმიმდევრული გამოყენების,

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბრძანება #512, 9 სექტემბერი, 2016; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბრძანება #584, 20 ოქტომბერი, 2016

მოსამართლეებზე ზეწოლის და სანქციების არათანაბარი გამოყენების შესახებ. მაისში კორცხელში შუალედურ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის ლიდერებზე თავდასხმის შემთხვევებზე სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. 8 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტებთან - მათ შორის ჯიხაშკარსა და ქუთაისში მომხდარ არეულობასთან - დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე პირს წაეყენა ბრალი. საერთაშორისო დამკვირვებელზე თავდასხმის შესახებ აღძრული საქმე, რომელსაც საია წარმოადგენს, ჯერ კიდევ გამოძიების სტადიაზეა. ზუგდიდსა და მარნეულში 8 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტების გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსი მუხლებით მიმდინარეობს - არჩევნების პროცესისთვის ხელის შეშლა, თუმცა ზუგდიდის შემთხვევაში წაყენებული ბრალი უფრო მკაცრია, რადგან ძალადობის ფაქტებსაც მოიცავს. ზუგდიდში ინციდენტთან დაკავშირებით ქართული ოცნების სამი მხარდამჭერი დააკავეს, რომელთაგან ერთი გირაოთი გაუშვეს; ხოლო მარნეულში ეჭვმიტანილები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ექვსი მხარდამჭერია, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. აღკვეთის განსხვავებულმა ღონისძიებებმა არათანაბარი მიდგომის შთაბეჭდილება გააჩინა - განსაკუთრებით, ოპოზიციურ პარტიებში. დამკვირვებლებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა ასევე აღნიშნეს, რომ, მიუხედავად მათი თხოვნისა, ზოგიერთ ოლქში პოლიციის რეაგირება ნელი ან არაადეკვატური იყო, განსაკუთრებით იქ, სადაც ოპოზიცია იყო კონკურენტუნარიანი. ამასვე ადასტურებს ჯიხაშკარში საერთაშორისო დამკვირვებლის საჩივარიც, რომლიც თანახმად მასზე თავდასხმის დროს პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ არ ჩაერია. მომავალი არჩევნების მიმართ ნდობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ, პროკურატურამ და სასამართლომ გამოავლინონ, რომ მათ ძალაუფლების გადამეტების შემთხვევებზე დროული, მიუკერძოებელი და ეფექტური რეაგირება შეუძლიათ.

უწყებათაშორისი კომისია საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო დარღვევების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მიზნით შეიქმნა. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში კომისიის სხდომებზე ყველა დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ინფორმაციის გაზიარება შეეძლო. კომისიამ რამდენიმე კონსტრუქციული ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. თუმცა ამ უწყების შესაძლებლობა, შეასრულოს ნდობის აღმდგენი მექანიზმის როლი, მნიშვნელოვანწილად შეზღუდულია მისი პროცედურების სიცხადის ნაკლებობით და რეკომენდაციების აღსრულების უფლებამოსილების არქონით.

საკანონმდებლო ჩარჩო

რეკომენდაცია:

- პარლამენტმა უნდა განაახლოს ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესი, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება საარჩევნო სისტემის რეფორმაზე.

საქართველოს საარჩევნო სისტემა ხანგრძლივი დავის საგანია: გავრცელებული მოსაზრებით სისტემა უპირატესობას მმართველ ძალას ანიჭებს. ოპოზიციური პარტიები შერეულ - პროპორციულ-მაჟორიტარულ სისტემას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდშიც აკრიტიკებდნენ. ახლო წარსულში, ოპოზიციის, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და მმართველი კოალიციის წევრი უმეტესი პარტიების წევრებმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად 2 შერეული საარჩევნო სისტემიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შესახებ კონსენსუსს მიაღწიეს. იყო საუბარი კომპრომისულ, ეტაპობრივ ტრანზიციაზეც. თუმცა, დღეის მდგომარეობით, ეს ინიციატივები არ განხორციელებულა. კვლევების თანახმად, ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მხარდაჭერა საზოგადოებაში დაბალია. სისტემის ცვლილების მოთხოვნა ნაწილობრივ ეფუძნება ხედვას, რომ პარტიის მიერ მიღებული მანდატები მის მიერ მიღებული ხმების არაპროპორციულია. საქართველოს შერეული საარჩევნო სისტემის მიხედვით 77 საპარლამენტო ადგილი პროპორციული არჩევნების გზით, 5% ბარიერის გადალახვის შედეგად ნაწილდება; 73 ადგილი კი ერთმანდატიან ოლქში 50%-იანი ზღვარის გადალახვის შედეგად ნაწილდება. ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ამომრჩეველთა შედარებით დაბალი აქტივობის ფონზე, ასევე ბარიერის და მანდატების განაწილების ფორმულის გამო, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმცირესობის მიერ ერთი პარტიისთვის მიცემულმა ხმებმა ამ პარტიას პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების უმეტესი ნაწილი მიაკუთვნა.

პარტიების წინასაარჩევნო კამპანია

რეკომენდაციები:

- პარტიებმა და კანდიდატებმა, რომლებიც მომავლში არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, უნდა შეიმუშაონ და წარმოადგინონ მკაფიო პლატფორმები, რომელიც შეიცავს მათ ხედვას სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით; გამოიყენონ საჯარო დებატებში მონაწილეობის ყველა შესაძლებლობა; და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისა და გამოსვლებისგან, რაც საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობას ზიანს აყენებს.

წინასაარჩევნო და მეორე ტურის წინა პერიოდში კამპანია ნელა მიმდინარეობდა: პარტიების უმრავლესობა შემოიფარგლებოდა ისეთი მცირემასშტაბიანი აქტივობებით, როგორიცაა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრები და კარდაკარ კამპანია. რამდენიმე პარტიამ დეტალური საარჩევნო პროგრამები შეიმუშავა, თუმცა, ძირითადად, კამპანიის რიტორიკა პოლიტიკური პროგრამების ნაცვლად ოპონენტისგან მტრის ხატის შექმნასა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იყო ორიენტირებული. უფრო მეტიც: ზოგიერთი პარტიის კამპანია შეიცავდა სიძულვილის ენას თურქების, მუსულმანების და სექსუალური უმცირესობების მისამართით. ეროვნულ და რეგიონულ არხებზე სატელევიზიო დებატები გაიმართა.

რიგი მედია საშუალებებისა თანხმდება, რომ გასულ საარჩევნო კამპანიებთან შედარებით, პარტიებს საკუთარი პოზიციების დასაფიქსირებლად მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი პარტიის ლიდერებმა რამდენიმე მნიშვნელოვან სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, რამაც სხვა პარტიების მხრიდან მონაწილეობაზე უარის თქმა გამოიწვია. ამით ამომრჩეველმა მათ წინაშე არსებული არჩევანის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა დაკარგა.

არჩევნებზე დაკვირვება

რეკომენდაციები:

- არჩევნებზე დამკვირვებლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ საკუთარი, ამომრჩევლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, და ლეგიტიმურ საარჩევნო პროცესებში ჩარევისგან თავი უნდა შეიკავონ.
- ცესკომ არასამთავრობო ორგანიზაციების აკრედიტაციის კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს, რათა ყველა სანდო ჯგუფს, რომელიც არჩევნების დაკვირვების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს იზიარებს, არჩევნებზე დაკვირვების საშუალება ჰქონდეს და, ამავდროულად, საარჩევნო უბნებზე ხალხმრავლობა და არაპროფესიონალიზმი შემცირდეს.

საარჩევნო უბნებზე ქვეყნის მასშტაბით ყველა ძირითადი პარტიის წარმომადგენლები, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ჯგუფები და სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. მაგალითად, არჩევნების პირველი ტურისთვის ცესკომ და საოლქო კომისიებმა პარტიისა და კანდიდატების 49,092 და მედიის 5,368 წარმომადგენელი, თითქმის 3,000 არაპარტიული და 1,190 საერთაშორისო დამკვირვებელი დაარეგისტრირა. მოქალაქეების მიერ არჩევნებზე დაკვირვება მნიშვნელოვან დემოკრატიულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი ზედამხედველობა გაწიოს, დაიცვას ხმები და საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობა გააძლიეროს. მთელი ქვეყნის მასშტაბით NDI-ის დამკვირვებლებმა, წამყვანმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა და ცესკოს ხელმძღვანელობამ დააფიქსირა ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებელი, ძირითადად პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საარჩევნო პროცესის წარმოებას, ერეოდნენ რა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების კანონიერ ფუნქციებში, რითაც ეჭვქვეშ აყენებდნენ მათ უფლებამოსილებას და არ იცავდნენ დაკვირვების ძირითად სტანდარტებს. ზოგ შემთხვევა დამკვირვებლები ზეწოლას ახდენდნენ ამომრჩევლებზე, საუბნო კომისიის წევრებსა და სხვა დამკვირვებლებზე. მათ შორის გამოვლინდა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტიც. ხშირ შემთხვევებში საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა დიდი რაოდენობა შეინიშნებოდა. NDI-ის ერთ-ერთი დამკვირვებლის ცნობით, ახალციხის ერთ პატარა უბანზე, უბნის დახურვის დროს,

ერთდროულად 38 დამკვირვებელი იმყოფებოდა. ზოგიერთი დამკვირვებელი, რომელიც მიუკერძოებელი ორგანიზაციების სახელით იყო აკრედიტირებული, ვერ ასახელებდა წარმდგენი ორგანიზაციის სახელს და თავს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მიაკუთვნებდა. ცესკოს ცნობით, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებზე დაკვირვებას ითხოვდა, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიქმნა და დარეგისტრირდა, როგორც ჩანს - მხოლოდ დაკვირვების მიზნით, და არჩევნების შემდეგ მაშინვე დაიშალა. ხალხმრავლობამ და საარჩევნო პროცესში ჩარევამ დამაბნეველი გარემოს შექმნას და, ზოგ შემთხვევაში, დაშინების ფაქტებსაც კი შეუწყო ხელი. პოტენციური სადამკვირვებლო ორგანიზაციების კონტროლის უფრო მკაცრი სტანდარტები და დამკვირვებლებისა და კომისიის წევრების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა ამ პრობლემების მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

რეკომენდაცია:

- პარტიის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ კამპანიის ფინანსური ტრანზაქციების გამჭვირვალობა, უარი თქვან ისეთი კერძო, კორპორატიული ან უცხოური რესურსების მიღებასა და გამოყენებაზე, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს და სრულად ითანამშრომლონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჟურნალისტებმა და სამთავრობო უწყებებმა, შესაძლებლობების ფარგლებში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს როგორც დეკლარირებულ, ასევე არადეკლარირებულ ფულად ნაკადებს მონიტორინგი უნდა გაუწიონ.
- უნდა გატარდეს ადმინისტრაციული რეფორმები ადგილობრივ დონეზე, მათ შორის კანონით საჯარო მოხელეების სამსახურიდან გაშვებისგან უკეთესი დაცვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური ზეწოლის თავიდან ასაცილებლად.
- საარჩევნო კამპანიაში სახელმწიფო მოხელეების ჩართულობის რეგულირებისთვის უფრო მკაცრი ზომები უნდა იყოს გათვალისწინებული.
- უნდა მოხდეს არჩევნების პერიოდში პირადი მონაცემების დაცვის რეგულაციების შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოძიება.

ყველა მთავრობის პირობებში ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან საკითხად ფულის როლი რჩება. დელეგაციასთან შეხვედრისას ბევრმა ფულადი რესურსების წყაროების, მიზნებისა და წინასაარჩევნო კამპანიისთვის ამ რესურსების გადაცემის გზების შესახებ კითხვები წამოჭრა. ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ შესაძლო ზიანის შიშით, ბიზნესკომპანიებს მათი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება არ სურთ. გარემო არათანაბარი იყო იმ კუთხით, რომ ქართულმა ოცნებამ მთლიანი

შემოწირულობების 66% მიიღო და ჯამურად ყველა სხვა პარტიასა და კანდიდატებზე მეტი დახარჯა.[12] საქართველოში სახელისუფლო პარტიის კამპანიის ღონისძიებებზე საჯარო მოხელეების დასწრების და მისთვის ხმის მიცემის იძულების დიდი ხნის ისტორია არსებობს. გამონაკლისი არც ეს არჩევნები აღმოჩნდა. საერთაშორისო გამჭვირვალობამ დააფიქსირა ქართული ოცნების კამპანიის ღონისძიებებზე საჯარო მოხელეების მასშტაბური მობილიზება[13]. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელეებს არასამუშაო საათებში კამპანიაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის მკაფიო გამიჯვნის არარსებობა კანონში კამპანიის დროს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების ჩართულობის პარამეტრების დადგენის საჭიროებაზე მიუთითებს.

ჩართულობა

რეკომენდაციები:

- პარლამენტმა უნდა განიხილოს და კენჭი უყაროს კანონპროექტს სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ.
- შემდეგი არჩევნებისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოიზიდონ, ტრენინგი ჩაუტარონ და მხარი დაუჭირონ მეტ ქალსა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს და განავითარონ პარტიის ინფრასტრუქტურა ისე, რომ ხელი შეუწყონ ქალებსა და ეთნიკურ უმცირესობებს და ასახონ ამ ჯგუფების წინაშე არსებული კონკრეტული პრობლემები პარტიის პოლიტიკაში.

საქართველოში ამომრჩევლებსა (51.1%) და დამკვირვებლებს შორის და საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილები, რაც მათ პოლიტიკასა და არჩევნებში ჩართულობასა და ინტერესზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილები კანდიდატებს შორის - მათი რიცხვი მაჟორიტარების მხოლოდ 17%, ხოლო პარტიული სიების მხოლოდ 37% შეადგენს. ამ ეტაპზე მხოლოდ სამმა პარტიამ და ერთმა ბლოკმა დააკმაყოფილა დამატებითი 30%-იანი ფინანსური წახალისებისთვის საჭირო კრიტერიუმები, მათ შორის - პარტიის პროპორციულ სიაში ყოველ ათეულში განსხვავებული სქესის მინიმუმ სამი კანდიდატის ჩასმა. აქედან საარჩევნო ბარიერი მხოლოდ პატრიოტთა ალიანსმა

[12] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემების მიხედვით, ქართულმა ოცნებამ სექტემბერში მთლიანი შემოწირულობების 66.3 პროცენტი (15.9 მილიონი ლარი) მიიღო. მას მოსდევდა, სახელმწიფო ხალხისთვის პარტია (4.8 მილიონი ლარი), პატრიოტთა ალიანსი და ნაციონალური მოძრაობა (1 მილიონი ლარი), და თავისუფალი დემოკრატები (421,690 ლარი). ყველა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ერთად მიიღო ერთი მილიონი ლარის შემოწირულობა. 20 სექტემბრამდე, ქართულმა ოცნებამ ჯამურად ყველა სხვა პარტიასა და კანდიდატზე მეტი დახარჯა (ქართული ოცნების დანახარჯი იყო 13.5 მილიონი, ხოლო ყველა სხვა პარტიისა და კანდიდატის ჯამური 12 მილიონი ლარი) .

[13] საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო, "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში," 30 სექტემბერი, 2016

გადალახა. ქალ დეპუტატთა მთლიანმა რაოდენობამ მცირედით მოიმატა - 18 ქალი დეპუტატიდან (12%) 24 დეპუტატამდე (16%). თუმცა, ამ არჩევნებზე ნაკლები ქალი მაჟორიტარი დეპუტატი იქნა არჩეული - ხუთი მაჟორიტარი წინა მოწვევის პარლამენტში შვიდ ქალ მაჟორიტართან შედარებით.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც კამპანიის ყველა სფეროში ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილები. იმ ექვს მაჟორიტარულ ოლქში, რომელიც ძირითად ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული, ნაციონალურმა მოძრაობამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიდან ხუთი, ხოლო ქართულმა ოცნებამ - სამი კანდიდატი წარადგინა, თუმცა ექვსივე ოლქში ქართული ოცნების კანდიდატმა გაიმარჯვა. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საოლქო საარჩევნო კომისიებში არ იყო მოცემულ ოლქებში ეთნიკური უმცირესობების პროცენტული გადანაწილების პროპორციული, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიებში ბალანსი მეტად დაცული ჩანდა. ცესკომ ეთნიკური უმცირესობებისთვის მათ მშობლიურ ენაზე ჩაატარა ტრენინგები და შესაბამისი მასალებიც მიაწოდა. ცესკომ ასევე ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიებები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ამომრჩევლების განათლების მიმართულებით. თუმცა ამ მცდელობებმა, როგორ ჩანს, ყველა საჭიროებას ვერ უპასუხა, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში არჩევნების დროს დაბნეულობა შეიმჩნეოდა - როგორც საარჩევნო კომისიის მოხელეების, ასევე ამომრჩევლების მხრიდან.

მომავალმა პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გაითვალისწინონ მექანიზმები, რომელიც მომავალში პარლამენტში საქართველოს ყველა მოქალაქის, მათ შორის ქალებისა და უმცირესობების ჯგუფების, უკეთეს წარმომადგენლობას შეუწყობს ხელს.

სამომავლო ხედვა

2016 წლის საარჩევნო გარემო 2012 წელთან შედარებით უფრო კონკურენტული იყო. წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 16 საარჩევნო სუბიექტი და მხოლოდ 4 დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი, მიმდინარე არჩევნებში კი საარჩევნო რბოლაში 25 პარტია/საარჩევნო ბლოკი და 61 დამოუკიდებელი კანდიდატი ჩაერთო. მიუხედავად ამისა, საარჩევნო ბარიერი მხოლოდ სამმა პარტიამ - ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გადალახა და ქართულმა ოცნებამ თითქმის ყველა მაჟორიტარული მანდატი (ორი მანდატის გარდა) მოიგო. ქართულ ოცნებას საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში მთავარი ოპოზიციური ხმა იქნება. ქართული ოცნებას და ნაციონალურ მოძრაობას წარსულშიც უჭირდათ ურთიერთთანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოლიტიკა რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში ერთმანეთთან ახლოსაა. პირადი

თავდასხმებისა და სარკაზმის გამოყენების ცდუნებამ შეიძლება, ყურადღება გადაატანინოს იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს საშინაო და საგარეო გამოწვევების გადასალახად კოორდინირებული მმართველობაა საჭირო.

არჩევნების შემდგომ პერიოდში, რამდენიმე პარტიაში შიდა დაპირისპირებამ იჩინა თავი. რამდენიმე პატარა, მაგრამ წარსულში გავლენიანი პარტია - მათ შორის თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და სახელმწიფო ხალხისთვის - პარტიის ლიდერებმა დატოვეს და მათი მონაწილეობა პოლიტიკასა და მომავალ არჩევნებში გაურკვეველია. "გირჩმა" განაცხადა, რომ როგორც პარტია, ის ფუნქციონირებას წყვეტს და საქმიანობას სოციალური მოძრაობის ფორმატში გააგრძელებს. ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში პარლამენტის ბოიკოტთან დაკავშირებით შიდა დებატები გაიმართა. საბოლოო ჯამში პარტიის ხელმძღვანელობამ ბოიკოტის იდეა უარყო, თუმცა ამ კითხვამ მის შიგნით არსებული მნიშვნელოვანი დაყოფა გამოაჩინა. შესაბამისად, საქართველოს მრავალპარტიული პოლიტიკური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი ხედვების და პოლიტიკური პოზიციების სპექტრი შემცირდა და უმრავლესობის კონტროლის მექანიზმებიც შეზღუდული იქნება.

ამომრჩეველთა აქტივობა ამ არჩევნებზე შედარებით დაბალი იყო: 51.63 % პირველი ტურის და 37.5% მეორე ტურის დროს[14]. დამატებით, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, საარჩევნო სისტემის ბარიერი და მანდატების გადანაწილების ფორმულის გამო, ამომრჩეველთა უმცირესობის ხმებმა ერთ პარტიას პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების უმრავლესობა მიანიჭა. შედეგად, საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე შეიძლება თვლიდეს, რომ ის პარლამენტში სათანადოდ წარმოდგენილი არ არის.

იმ ვითარებაში, როდესაც წამყვან პარტიებს ერთმანეთთან მტრული ურთიერთობა აქვთ, დომინანტურ პარტიას კი ძალაუფლების ნაკლები შეზღუდვა და ამომრჩევლების უმრავლესობაზე ნაკლებისგან მიღებული მანდატები, პოლიტიკურმა ლიდერებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ იმისთვის, რომ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და პოლიტიკის შემუშავების ინკლუზიურ პროცესს შეუწყონ ხელი. ამ პროცესმა უნდა მოიცვას კონსულტაციები როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პარტიებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს მოქალაქეების სრული სპექტრი იყოს წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კრიტიკული მნიშვნელობის ეროვნული საკითხების განხილვისას, როგორიცაა, მაგალითად, საკონსტიტუციო რეფორმა. დამატებით, მნიშვნელოვანია მთავრობის საპარლამენტო

[14] http://cesko.ge/res/docs/monacileqalebi.pdf
http://cesko.ge/res/docs/Aqtivoba20.0030102016.pdf

კონტროლის მექანიზმების გაძლიერება - მათ შორის, არსებული მოთხოვნების აღსრულების გაუმჯობესება, რათა პარლამენტის მოთხოვნებზე მთავრობის პასუხი იყოს უზრუნველყოფილი. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და ჟურნალისტების ძალისხმევა, გაიზარდოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება და მათი მხრიდან პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება უნდა იყოს წახალისებული და დაცული.

NDI-ის სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო დელეგაცია

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: სემ კოპერსმიტი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში; იანუშ ონიშკევიჩი, ევრო-პარლამენტის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი და პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი; მაიკლ პოზნერი, ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტერნის ბიზნესის სკოლის პროფესორი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე; ლორა ჯუიტი, NDI-ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი; და ლორა თორნტონი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი.

13-17 ივნისის პერიოდში დელეგაცია თბილისში შეხვდა ფართო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელ კანდიდატებსა და პარტიებს; ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) წევრებს; სახელმწიფო აუდიტის სამსახურს; საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ინტერ-პარტიული ჯგუფის წევრებს; საქართველოს პრეზიდენტს; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს; საგარეო საქმეთა მინისტრს; სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს; ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფებს; პარლამენტის წევრებს; მედიის წარმომადგენლებს; საერთაშორისო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

გრძელვადიანი ანალიტიკოსები

სამი გრძელვადიანი ანალიტიკოსისგან შემდგარი ჯგუფმა 2 აგვისტოდან 3 ნოემბრამდე დაახლოებით 65 ოლქი მოინახულა და ჩაატარა 400-ზე მეტი შეხვედრა ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. ჯგუფი ასევე დააკვირდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს,

ამომრჩეველთა განათლების ინიციატივებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისა და სამართალდამცავთა ტრენინგებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს. 28-31 ოქტომბერს, მეორე ტურზე დასაკვირვებლად გუნდს დაემატა ოთხი დამატებითი ანალიტიკოსი, პირველ ტურზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წევრები.

არჩევნების დღის სადამკვირვებლო მისია, 8 ოქტომბერი

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო დელეგაციაში წარმოდგენილნი იყვნენ დამკვირვებლები 11 სხვადასხვა ქვეყნიდან. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ: სემ გედჯენსონი, აშშ-ის კონგრესის ყოფილი წევრი კონეკტიკუტის შტატიდან; ტედ კაუფმანი, აშშ-ის ყოფილი სენატორი დელავერის შტატიდან; იანუშ ონიშკევიჩი, ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი; და ანემი ნეიტს-უტებროკი, ბელგიის სახელწიფო მინისტრი და ევროპარლამენტის ყოფილი წევრი; ლორა ჯუიტი, NDI-ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი; და ლორა თორნტონი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი. 23 წევრისგან შემდგარი დელეგაცია თბილისში 4 ოქტომბერს ჩამოვიდა. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს პოლიტიკურ ლიდერებთან, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. 6 ოქტომბერს NDI-ს დამკვირვებლების ჯგუფები საქართველოს მასშტაბით 10 რეგიონში გაემგზავრნენ, სადაც ისინი შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს. არჩევნების დღეს NDI-ს სადამკვირვებლო ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესს დააკვირდნენ. დამკვირვებელთა ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიწოდებას რეგულარულად ახორციელებდნენ, ხოლო არჩევნების დასრულების შემდეგ ისინი მონიტორინგის შედეგების გასაზიარებლად თბილისში დაბრუნდნენ.

NDI საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად ახორციელებდა. დეკლარაცია აღიარებულია 52 მთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს მასშტაბით.

NDI მადლობას უხდის ორგანიზაციას ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსთან (Sida) ერთად, მხარს უჭერს NDI-ის დემოკრატიის

გაძლიერების პროგრამებს საქართველოში. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, NDI მხარს უჭერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) სადამკვირვებლო საქმიანობას.